ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№ 47
(11 299)

22 – 24 ივნისი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სიონი თუ ჯურინი? ჯურინი!

ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს სულში შეკრებილმა სოკ-ის წევრებმა, რომლებსაც 2006 წლის ზამთრის თამაშების მასპინძლად შვეიცარიის სიონსა და იტალიის ტურინის კონკურენციაში ერთ-ერთისთვის უნდა მიენიჭებინათ უპირატესობა.

სიონის გამარჯვება თითქმის არავის აეჭვებდა, მაგრამ კორუფციაში მხილებით დაშინებულმა სოკ-ის წევრებმა უპირატესობა ტურინს მიანიჭეს. სიონის სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტაზე მიანიშნებდა ისიც, რომ იგი 2002 წლის თამაშების პრეტენდენტი იყო და სწორედ კორუფციის წყალობით „ჩაძირა“ სოლტ ლეიკ სიტმა (აშშ).

ახლა ამ მეორე სამწუხარო ამბავმა ლამის საყოველთაო გლოვა გამოიწვია შვეიცარიაში, იტალიელებმა კი უსაზღვროდ ბედნიერებმა ხმაურით აღნიშნეს თავიანთი გამარჯვება.

ვარაუდობენ, რომ შვეიცარია ამჯერადაც დაისაჯა, რადგან თავის დროზე მთელ მსოფლიოში სწორედ მათ ატეხეს განგაში სოკ-ის წევრების მიკერძოებაზე სოლტ ლეიკ სიტისადმი.

იტალიელებისთვის კი ეს უდიდესი სიხარული მოულოდნელი იყო...



სურათებზე: ჭ. ტურინი; ამ გამარჯვებაში წვლილი ლეგენდარულ ტომმას ბეტორიტეტსაც მიუძღვის (ზედა ფოტოზე იტალიის ეოკ-ის ხელმძღვანელთა სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ა. კოტორაშვილის ფოტო

გივი ქარჩოზიას სახელობის VI საერთაშორისო ჭრნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

ციციაშვილს კი თვითმფრინავზე აგვიანდებოდა...

ლეგენდარული ქართველი ფალავნის ახლანდელი ტურნირი, რომელიც მისი დაბადებიდან 70 წლისთავს დაემთხვა, ჩვეულებრივი მასობრიობით ვერ გამოირჩეოდა, რაც იმით აიხსნება, რომ ამავე დღეებს დაემთხვა სხვა ტურნირი, რომელმაც გაცილებით მეტი ქვეყნის ფალავნები მიიზიდა: ჩვენს დედაქალაქში კი 11 აზერბაიჯანელი, ამდენივე სომეხი, ერთი რუსი მოჭიდავე ეწვია. მათ ბოლო მომენტში შეუერთდა ორი ყოფილი ჩვენი თანამემამულე თავიანთი ისტორიული სამშობლოდან – ისრაელიდან, საქართველოს სახელს კი 64 სპორტსმენი იცავდა. რაც მთავარია, იგრძნობოდა გარსკვლავთა დეფიციტი, რის გამოც უშუალოდ შეზვერებს, ცხადია, ელვარება და ცეცხლი დაყლდა. ფილა-მ მათი გამოსვლების სამეთვალყურეოდ ცნობილი ფალავანი, 1972 წლის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული და მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი, მოსკოველი ვალერი რეზანცევი (სურათზე) მოავლინა. „ლელოს“ კორესპონდენტმა მას ჰკითხა:

● *მონაწილეთა ასეთი მორიდებული რაოდენობის ჩამოსვლა ტურნირზე იმით ხომ არ აიხსნება, რომ მსოფლიოში კომერციული ტურნირები ტარდება და უფრო ის იზიდავს მოჭიდავეებს?*

– ვერ დაგეთანხმებით: გივი ქარტოზიას პოპულარობას ჭიდაობის სამყაროში ვერავითარი კომერცია ვერ დაჩრდილავს, პირადად ჩემთვის ისეთი ძვირფასია ამ კაცის სახელი, ასაკის რომ არ მერიდებოდეს, ლამის გამოვიდე საჭიდაოდ. აქ, უბრალოდ სხვა მიზეზია, კერძოდ, დღესვე კრასნოდარში გაიმართება საკმაოდ უფრო „სტაჟიანი“ ასპარეზობის – ივან პოდუბნის საერთაშორისო ტურნირის ფინალური შეხვედრები. თქვენი ტურნირი სწორედ იმ ასპარეზობის დამთხვევამ გაამეჩხერა, რომელმაც „კლასიკოსთა“ მთელი ელიტა მიიზიდა – უკრაინიდან, ბელარუსიდან, ყაზახეთიდან... მაგრამ

იხ. მე-2 გვ.

რიგაში – ევროპის ჩემპიონატზე

ბუშინ რიგაში გაემგზავრა 20 წლამდე ასაკის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრები, რომელიც ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს.

ჩვენი ნაკრების შემადგენლობა: ბესარიონ გოჩაშვილი (50 კგ, გორი), ზვიად გვილავა (54, თბილისი), შალვა მუზიაშვილი (58, გორი), გიორგი ირემაძე (63, ქუთაისი), გიორგი გობეჯიშვილი (69), ზაზა ნოზაძე (76), ზვიად ბიძიშვილი (85), დავით ოთიაშვილი (97), მიხეილ ტურაშვილი (მძიმე, ყველა – თბილისი). უფროსი მწვრთნელია ნუგზარ სხირელი. გუნდს გაჰყვა მსაჯი ჯუმბერ დავლიანიძე. დელეგაციას ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი ხელმძღვანელობს.

„გუმათე“

პრიზიორები გათუმიდან და ფოთიდან

ჩვენში ასეა, გამოჩნდება თუნდაც ერთი სახელიანი სპორტსმენი და იგი უმალ მისაბაძი ხდება ახალგაზრდა თაობისთვის. კრივში გიორგი კანდელაკის წარმატებებმა აშკარად გამოაცოცხლა ჩვენში სპორტის ეს სახეობა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ცხოვრების მძიმე პირობებში არა თუ განელდა, პირიქით, გაიზარდა კრივისადმი ინტერესი. „ლელოს“ მკითხველებმა ეს კარგად იციან. ამ დღეებში კიდევ ერთი გასახარი ამბავი შევიტყვეთ ხორვატიიდან, სადაც საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა და ჩვენმა ორმა მოკრივემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ერთია ბათუმელი გოჩა აბაშიძე (67 კგ) და მეორე – ფოთელი ზაზა კუჭავა (75). ტურნირში 25 ქვეყნის 120-ზე მეტი მოკრივე მონაწილეობდა. საქართველოდან შეჯიბრებაზე სულ სამი სპორტსმენი გამოდიოდა.

აშშ-ში მიმდინარეობს ქალთა მესამე ჩემპიონატი ფეხბურთში.

იხ. მე-3 გვ.

სარფი – სპორტული მეგობრობის ზონა

საქართველოს და თურქეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების შეთანხმებით პირველად მოეწყო შემხვედრი მძლეოსნური გარბენი, რომელიც ამ დღეებში გაიმართა და საერთაშორისო ოლიმპიურ დღეს მიეძღვნა. 500-მდე სხვადასხვა ასაკის რბენის მოყვარულმა მოიყარა თავი ბათუმში ჩვენი ქვეყნის 10 ქალაქიდან, რომელთა შორის ყველაზე მრავლად (110) თბილისელები იყვნენ (ისინი თბილისის მერიის სპორტის სამმართველომ დააფინანსა). ბათუმიდან ღონისძიების მონაწილეებმა სარფამდე ირბინეს, თურქეთის მხრიდან კი იქვე დაასრულეს მარშრუტი ამ ქვეყნის მორბენლებმა. ერთმანეთს სპორტსმენები და მათი თანმხლებნი ნეიტრალურ ზონაში შეხვდნენ, სადაც მოეწყო გამარჯვებულთა დაჯილდოება და ორივე ქვეყნის ხალხური შემოქმედების კონცერტი.

მეგობრობის ცერემონიალს ესწრებოდნენ თურქეთის და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელები *(„გუმათე“).*

ჭრნირის გამარჯვებულები



1. ა. ცერცვაძე;
2. შ. გოქაძე;
3. კ. გულიაშვილი;
4. გ. ჭინჭველაშვილი;
5. თ. კუპატაძე;
6. მ. ვახტანგაძე;
7. გ. ჩხაიძე;
8. მ. გიორგაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ᲕᲐᲥᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ. ᲚᲔᲕᲘ-ᲞᲝᲪ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲘ

III ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ᲗᲘᲡᲣ – ᲡᲒᲣ 110:84 (52:32) 1:1. ᲡᲒᲣ-Ს ᲔᲠᲗᲯᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲣᲛᲪᲠᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲐ. ᲥᲐᲠᲐᲑᲐᲯᲐᲙᲘ – 31 ქ., ᲜᲘᲬᲔᲚᲗᲐ – 25 (ᲠᲘᲒᲘᲡᲔ – ᲗᲘᲡᲣ); ᲮᲔᲘᲫᲔ – 22 (ᲡᲒᲣ).

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲡ I ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ: „ᲕᲘᲗᲐ“ – „ᲐᲖᲝᲒᲘ“ 75:85 (30:48). ᲕᲔᲚᲔᲜᲘ („ᲐᲖᲝᲒᲘ“) – 17, ᲐᲑᲠᲐᲐᲛᲘᲫᲔ („ᲕᲘᲗᲐ“) – 19.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲐᲣᲜᲓᲘ – 23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲓ ᲛᲝᲠᲒᲔᲑᲐᲓᲓᲔᲑᲐ.

საქართველო
GEORGIA

სეოკ-ის საიუბილეოდ!

10 დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში

1988–1989 წლები

ყრილობების ჩატარება მაშინ მოდაში იყო. „მნიშვნელობა არ აქვს სეოკ-ის დაფუძნების ღონისძიებას რას დაარქმევენ“ — ასეთი რჩევა მოგვცა ჩვენმა იურისტმა საორგანიზაციო კომიტეტში, შესანიშნავმა პიროვნებამ და თავისი საქმის კარგად მცოდნემ დავით კუპრეიშვილმა. მართალია, „კონფერენცია“, ცოტა არ იყოს, საბჭოურად ქლერდა, მაგრამ თავყრილობის გამართვა მაინც ამ სახელდებით ვარჩიეთ.

როცა გაწეულ მუშაობას თვალი კიდევ ერთხელ გადავავლეთ, ყველაფერი შევაჯერეთ და გავაანალიზეთ, ჩავთვალეთ, რომ უკვე ვიყვითი მომზადებულები სეოკ-ის დასაფუძნებლად. თარიღის თაობაზე 27 სექტემბერს იმსჯელა საინიციატივო ჯგუფისა და საორგანიზაციო კომიტეტის გაფართოებულმა სხდომამ. ოქტომბრის პირველი ნახევრის რამდენიმე თარიღი დასახელდა სავარაუდოდ. შემდეგ ყურადღება უფრო მოსახერხებელ კვირის დღეზეც გადავიტანეთ და გაცილებით მიზანშეწონილად ჩავთვალეთ პარასკევი. უახლოესი პარასკევი კი 6 ოქტომბერი იყო — 1989 წლის 6 ოქტომბერი!

დელეგატთა შერჩევის საკითხში არანაირი პრობლემა არ შექმნილა. განუქმნას ხალხი მაინც სულ სხვა ინტერესით მოელოდა, თვით ახალშექმნილი ეროვნული საზოგადოებრივი გაერთიანებები და პოლიტიკური პარტიებიც კი. ყველამ კარგად იცოდა რას ნიშნავდა შენი სამშობლოს დროშით მსოფლიოს თვალწინ გამოჩენა და ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებელი მონაწილეობა.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის შექმნის ამბავი საყოველთაო საინფორმაციო საშუალებებით მთელიან საბჭოეთში და, რაღა თქმა უნდა, უცხოეთშიც გავრცელდა. პირდაპირ გაოცებას იწვევდა ცენტრის პოზიციების შერბილება საქართველოს სპორტული ორგანიზაციების, მათ შორის ფედერაციების მიმართ. იყო გარკვეული დათმობები, არათუ კვეცდნენ, პირიქით, ზრდიდნენ ფინანსურ დახმარებას, გახშირდა მიწვევები სპორტულ ფორუმებზე. საბჭოთა იდეოლოგიის უპირველესმა რუპორმა, გაზეთმა „პრავდამ“ საგანგებო წერილიც კი გამოაქვეყნა, რითაც მხარს უჭერდა ფოთის წყალსათხილამურო ბაზის შემდგომ გაფართოებას და ახლო მომავალში საერთაშორისო მნიშვნელობის ობიექტად მის გადაქცევას.

ცნობილი წყალბურთელები პეტრე (მამა), ნუგზარ და გიორგი მშვენიერაძეები, რომლებიც მოსკოვში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ, ჟურნალისტ პეპი ბოჟორიშვილის მეშვეობით, გვითვლიდნენ: „ჩვენ სამნი ხუთ ოლიმპიადაში ვმონაწილეობდით, პატარა პეტრე და პაველ, რომლებიც, ალბათ, ასევე წყალბურთელები იქნებიან, დამოუკიდებელი საქართველოს სახელით იასპარეზებენ. მაშინ მათ მოუწევთ ჩვენი ოცნების განხორციელება... ღმერთმა ქნას!“ პროფესორი, იურისტი პეტრე მშვენიერაძე იურიდიულ საკითხებში გვპირდებოდა თანადგომას.

სეოკ-ის დამფუძნებელი კონფერენციის დელეგატები. 1989 წ. 6.X.

დამფუძნებელ კონფერენციამდე ოთხი დღით ადრე პროფკავშირების სპორტსაზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ თავის III პლენუმზე, ამ საზოგადოების თავმჯდომარის ვაჟა შუბლაძის თაოსნობით მიიღო სეოკ-ის შექმნის მხარდამჭერი სპეციალური დადგენილება. ეს სპორტსაზოგადოება საქართველოს სპორტულ მოძრაობაში ჩაბმულთა აბსოლუტურ უმრავლესობას აერთიანებდა, ამიტომ იყო ესოდენ მნიშვნელოვანი და მისასალმებელი მათი პოზიცია.

ვინ უნდა ყოფილიყო ის რჩეული, ვიზედაც ყრილობის დელეგატის №1 მანდატი გამოიწერებოდა? ერთხმად შევთანხმდით — ნონა გაფრინდაშვილი! ხრელად ვიცავდით წესს და ნორმებს, რომლითაც ხელმძღვანელობს საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობა. საქართველოში იმდენი სპორტული ფედერაცია იყო, ალბათ, ჩვენზე გაცილებით დიდ ქვეყნებსაც შეშურდებოდა. უმეტესობას, ოლიმპიური სპორტის სახეობები წარმოადგენდნენ, ამას კი სეოკ-ის დასაფუძნებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

მთელი საქართველო, განსაკუთრებით სპორტული სამყარო, როგორც დიდი ეროვნული დღესასწაულისათვის, ისე ემზადებოდა სეოკ-ის დამფუძნებელი კონფერენციისთვის. იმ პერიოდში ჩვენში არაერთი ეროვნული ორგანიზაცია თუ პოლიტიკური პარტია ყალიბდებოდა, მაგრამ შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სეოკ-ის შექმნა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და მოულოდნელი მოვლენა იყო ამ პერიოდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ ორგანიზაციის შექმნის ინიციატორებმა ზუსტად იგრძნეს ეროვნული ენერგიის ის ტალღა, რომელიც ქვეყანაში ამ პერიოდში ტრიალებდა და ეროვნული ენერგიის ეს ტალღა სეოკ-ის ნავს ისე მაღლა ასწია, რომ ის ნაპირზე ბევრად ადრე გადმოისროლა, ვიდრე ეს ნავის მეკვლეებს წარმოედგინათ.

ეროვნული ენერგიის ტალღა ნავს ისე მაღლა ასწია, რომ ის ნაპირზე ბევრად ადრე გადმოისროლა, ვიდრე ეს ნავის მეკვლეებს წარმოედგინათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის პრეზიდენტი კიდევ ერთხელ შეახსენებს ყველას, რომ ქართულ ფეხბურთს შველა უნდა

ქართული ფეხბურთი რომ აყვავების გზას არ ადგას, უველამ იცის. ისიც ცხადია, რომ თავი და თავი ფინანსური უკმარისობაა. უჭირს ქვეყანას, მაგრამ განა მართლა ისე წუალწასაღებად გვაქვს საქმე, რომ ეს სათაყვანებელი და შეუცვლელად №1 სპორტის სახეობა ვერ გადავარჩინოთ?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ წერილით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, რომელშიაც სახელმწიფოს მხრიდან ქართული ფეხბურთისათვის დახმარების გაწევის რამდენიმე საკითხია წამოწეული წინა პლანზე, კერძოდ:

1. როგორც ცნობილია, 1999 წლის 22 მარტიდან სფფ-ს ანგარიშს ბანკში დადებული აქვს უადაღა. ფედერაცია ხელფეხშებორკილია და ვერ აწარმოებს ფინანსურ ოპერაციებს. მერაბ ჟორდანია ითხოვს ვალის რექრუსტრუაზაციას;

2. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გრანტის გაჩუქების უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებრივ ორგანიზაციას (ე.ი. ფიფა ან უეფა) სფფ-ს აზრით, ჩვენს კანონში უნდა შეივიდეს შესწორება, რათა გრანტის გამჩუქებელთა ნუსხაში შეივიდნენ ფეხბურთში ინვენტარის ან მოწუყობლობების მწარმოებლები. სფფ აცხადებს, რომ ამ ნაწარმს (ბუცები, ბურთები, მაისურები და ა.შ.) გარდა აუცილებელი ხარჯებისა, გასცემს უფასოდ.

3. თბილისის მერია ეროვნული სტადიონის აქციათა 51%-ს ფლობს. სფფ-ს მეშვეობით სტადიონის ტრიბუნებზე 21.500 სკამი დამონტაუდა. დრო გადის, დარჩენილი ადგილების ასეთივე სავარძლებით შევსებაზე კი მერია არ ფიქრობს.

გარდა ამისა, სტადიონზე განათება 600 ლუქსიდან 1200-მდე უნდა გაიზარდოს. თუ არც სკამები დამონტაუდა და განათებაც არ მოიმატებს, საქართველოს ნაკრებს და თბილისის „დინამოს“ (თუ „ღვთის წუალობით, ჩემპიონთა ლიგაში მოვხვდით) საერთაშორისო მატჩების ჩატარება აეკრძალებათ.

საქართველოს ნაკრების ბოლო თამაშებზე მაუურებელთა სიხალვათეა, რაც სავარძლების სიმცირითაცაა გამოწვეული. ბილეთები კი მხოლოდ დამონტაუებულ სკამებზე იყიდება, რასაც 27 მარტს, სლოვენიელებთან შეხვედრისას ინციდენტიც მოჰყვა.

ფეხბურთის ფედერაციის წერილს, როგორც ცნობილი გახდა, გაგებით მოეკიდა საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც ვ. ლორთქიფანიძეს, დ. ონოფრიშვილს, კ. ასათიანს, ლ. პაპავას, მ. ჩიკვილაძეს და ვ. ზოდელავას დაავალა წარმოადგინონ კონკრეტული წინადადებები, რათა უცილობლად და საბოლოოდ აღმოიფხვრას ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშემშლელი პრობლემები.

ილია ნანობაშვილი

ინტერტოტოს თასი. პირველი ეტაპი

ცემენტარნიცა (მაკედონია) – კოლხეთი-1913 (საქართველო) 4-2

ცემენტარნიცა: ზეკირი, დიმიტროვსკი, ხრისტოვსკი, ვასოვი, ბ. მილევსკი, სერაფიმოვსკი, რისტოვსკი, ლაზარევსკი, სავოვი (ვუიოვიჩი, 70), იკიმოვსკი, ი. მილევსკი (სვეტკოვსკი, 64).

კოლხეთი-1913: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გიორგაძე (ანჯაფარიძე, 65), შალამბერიძე, ღაღანიძე, დარასელია, ე. გვასალია, ტრაპაიძე (ჩადუნელი, 34), ამაშუკელი (ჩომახიძე, 74), ხუპუა.

გოლები: სერაფიმოვსკი (13), დარასელია (20), ხუპუა (24), რისტოვსკი (35), სერაფიმოვსკი (45), ვუიოვიჩი (89).

გააფრთხილეს: სერაფიმოვსკი, ხუპუა, იკიმოვსკი, სავოვი.

მსაჯი: ა. ანტონოვი (მოლდოვა).

მიუხედავად ორბურთიანი სხვაობით მარცხისა, ფოთელებს არც თუ ისე ცუდი შანსები გააჩნიათ მაკედონური ბარიერის გადალახვისათვის. ამის თქმის საფუძველს სკოპიეში ჩატარებული მატჩი გვაძლევს, რომელშიც კოლხებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს. „ცემენტარნიცას“ ცოტათი მსაჯებიც წაეხმარნენ, ცოტათი საკუთარი კედლები, ცოტათი ჩვენების ძალზედ უხეში შეცდომები დაცვაში და მაკედონელთა გამარჯვებაც გამოცხვა. რა თქმა უნდა, ნაღდ ბურთაობაშიც გამოიდეს თავი მასპინძლებმა, თუმცა თავბრუს დასხმა და შტურმისმაგვარი იერიშების მიტანა ფაზისელებმა ვერ შეძლეს – მაკედონიის მეხუთე გუნდი საქართველოს მეოთხე გუნდისთვის საკბილო მეტოქე აღმოჩნდა, რაც განმეორებითი მატჩისათვის ერთობ გვაიმედებს.

სხვა მატჩები:

ბაკეუ (რუმინეთი) – არარატი (სომხეთი) 0-1, პოლონია (პოლონეთი) – ვილიგული (მოლდოვა) 4-0, ჰერფელგე (დანია) – ჟილინა (სლოვაკეთი) 0-2, აკრანესი (ისლანდია) – ტეუტი ალბანეთი) 5-1, ვალერენგა (ნორვეგია) – ვენტსპილსი (ლატვია) 1-0, სპარტაკი (ბულგარეთი) – სენტ-ტრუიდენი (ბელგია) 1-2, ლოკომოტივი (ბელარუსი) – ვარტექსი (ხორვატია) 1-2, ჰრვატსკი (ხორვატია) – ნევრი თაუმი (უელსი) 1-0, ედინსტვი (ბოსნია) – გოტუ (ფარერები) 3-0, ლუქსემბურგი (ლუქსემბურგი) – ვაშაში (უნგრეთი) 1-3. ჰაიფე (ისრაელი) – ყარაბახი (აზერბაიჯანი) 1-2, რუდარი (სლოვენია) – ჰალამშიტადი (შვედეთი) 0-0, შელბურნი (ირლანდია) – ქსამაქსი (შვეიცარია) 0-0, ეიბერისტვიდი (უელსი) – ფლორიანა (მალტა) – 2-2, იოკერიტი (ფინეთი) – ტრანს ნარვა (ესტონეთი) 3-0, კოროტანი (სლოვენია) – ბაზელი (შვეიცარია) 0-0, კრალოვე (ჩეხეთი) – გომელი (ბელარუსი) 1-0, პობედა (მაკედონია) – დუკლა (ჩეხეთი) 3-1, ჩახლაული (რუმინეთი) – ეკრანასი (ლიტვა) 1-0.

შს აკადემია – გივი ჩოხელის ხსოვნას

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე რამდენიმე წელია ღირსეულ პატივს მიაგებს წარსულში ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელის, პოლიციის პოლკოვნიკ გივი ჩოხელის ხსოვნას და მინიფეხბურთში ტრადიციულ ტურნირს ატარებს. წლევანდელი ასპარეზობა 23 ივნისს დაიწყება და გ. ჩოხელის დაბადების დღეს, 27 ივნისს დასრულდება. ტურნირში, რომელსაც საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკი“ (დიღმის მასივი) უმასპინძლებს, მონაწილეობენ შს კადრების მთავარი სამმართველოს, ქალაქის მთავარი სამმართველოს, სახანძრო დეპარტამენტის, სატრანსპორტო დეპარტამენტის, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროების, აკადემიების, უნივერსიტეტ „აჭარის“, გ. გულუას სახელობის სპეც. დანიშნულების რაზმის, შინაგანი ჯარებისა და თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელთა გუნდები.

გამარჯვებული დაჯილდოვდება გივი ჩოხელის სახელობის გარდამავალი თასით. საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს კი გადაეცემათ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები. დაწესებულია ცალკეული პრიზები.

პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს“ თასის გათამაშება მინიფეხბურთში

A ჯგუფი

VII ტურის შედეგები

ფალავანი — 7 დღე 2-1
ვაკე 75 — თემქა 1-10
მეტეხი — პლატო-99 11-0
მაესტრო — მილანი-ავლაბარი 2-1
დიდუბე — დრონი 2-6
მთაწმინდა — სონიკი 8-3
სარბიელი — სპორტ. საქართველო 3-0
ვერა — დიღომი 2-2
ვაკე-1 — კავკასიონი 3-1
მეტროპოლიტენი — ლიდერი 7-0

B ჯგუფი

II ტურის შედეგები

8 1/2 — ვეძა 5-4
მაქსი — სპორტ. საქართველო-2 7-2
თბილისი — ავლაბარი 1-3
ნაძალადევი — ორბი 2-0
ზაჰესი — სახალხო-ვერა 1-9
ირაო — ლოკომოტივი 2-2.

ფირმა «არტკომპანიის» თასზე

კრწანისის რაიონის ქვემო ფონიჭალის სტადიონი მასპინძლობდა უბნების გუნდების ტრადიციულ ტურნირს ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 12 გუნდი. ასპარეზობის თაოსნები იყვნენ კრწანისის რაიონის გამგეობა, სპორტკომიტეტი (ამირან აფრიამაშვილი). საერთო სპონსორობა გაუწია ფირმა „არტკომპანიის“ პრეზიდენტმა ბ-მა გოგი ლიპარტელიანმა.

შეჯიბრებას ემსახურებოდნენ კვალიფიციური მსაჯები საერთაშორისო კატეგორიის არბიტრ ოთარ გუნთაძის ხელმძღვანელობით, ფინალური შეხვედრა გაიმართა ქვემო ფონიჭალას და კრწანისის უბნებს შორის და გამარჯვება წილად ხვდა კრწანისის გუნდს – 5-4.

ასპარეზობაზე დაწესებული თასები, ფასიანი საჩუქრები და შესაბამისი ხარისხის დიპლომები გამარჯვებულებს გადასცეს კრწანისის რაიონის გამგებელმა ბ-მა ირაკლი როსტომაშვილმა, ფირმა „არტკომპანიის“ პრეზიდენტმა და სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ. ტურნირის ბომბარდირი გახდა ქვემო ფონიჭალის ფეხბურთელი სოსო თამაზაშვილი (7 გოლი), საუკეთესო ფეხბურთელად სცნეს ალეკო აბდუშელიშვილი (კრწანისის გუნდი), საუკეთესო მეკარედ – ქვემო ფონიჭალის გუნდის წევრი სოსო დადაშვილი.

სურს გახდეს ეგოისტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, აჭარის ფეხბურთის ფედერაცია, ბათუმის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი და ვეტერანი ფეხბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, სპორტის ოსტატი

ანზორ კვარაცხელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

არაფერია გასაკვირი იმაში, რომ „ლიონის“ წამყვანი მოთამაშე და საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში ახლად ფეხადგმული ვიკაშ დორასო! დიდი პოპულარობით სარგებლობს სამშობლოში. ეს მინიატურული 25 წლის ფლეიმეიკერი ერთობ იმპროვიზირებულად თამაშობს, მოუხელთებელია და თამაშის თითქმის ყველა ეპიზოდში სწორ გადაწყვეტილებებს იღებს. ის კლაუსტროფობიას არასდროს აძლევს ნებას დააჩაგვრინოს თავი, მეტოქეებს ოსტატურად იცილებს გზიდან, ადვილად გამოძებნის ხოლმე თავისუფალ სივრცეს და ერთი ფილიგრანული პასით მოწინააღმდეგის დაცვას სახტად ტოვებს. აი ასეთი გახლავთ მინდორზე ვიკაშ დორასო! ზედმიწევნით აკურატული, მოწესრიგებული. მასზე უფრო ძლიერ ნახევარმცველს მთელს საფრანგეთში ვერ ნახავთ. და, როცა ეროვნული ნაკრების თავკაცმა როუე ლემერმა წლეულს, მარტში ევრო-2000-ის მატჩში უკრაინის წინააღმდეგ შეცვლაზე ათამაშა დორასო, ეს ფაქტი არავის გაჰკვირვებია...

კარგა ხანია, რაც საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება „ლიონის“ მე-10 ნომერს. ქვეყნის უპირველეს გუნდში დებიუტამდე დორასო გამოდიოდა საფრანგეთის ოლიმპიურ, ახალგაზრდულ და არმიის ნაკრებშიც კი. ამ უკანასკნელში ის მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა (1995 წ.) და მაშინ ფრანგ არმიელებს სწორედ რომ როუე ლემერი წვრთნიდა. გასულ სეზონში (1998-99) დორასო ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში გახლდათ. „ლიონის“ ამოცანა ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის უფლების მოპოვება იყო და დორასოს შემწეობით ეს შეძლო კიდეც (ეროვნულ ჩემპიონატში დაიკავა მე-3 ადგილი – რედ.) – ვიკაშის პირველივე სეზონი ამბიციურ „ლიონში“ წარმატებული აღმოჩნდა, მანამდე ის „ჰავრში“ (სადაც მასთან ერთი სეზონი ჩვენებური გია გურულიც გამოდიოდა – რედ.), რომელიც ყოველთვის პირველ დივიზიონში დასარჩენად იბრძოდა. „ჰავრს“ 14 წელი შევალიე. ამ კლუბმა აღმომაჩინა და შემქმნა ისეთად, როგორიც ახლა ვარ. მაგრამ იმის უარყოფას აზრი არა აქვს, რომ წვრთნის პროცესსა და კლასში „ჰავრსა“ და „ლიონს“ შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა. თანაც „ლიონში“ გადასვლით ჩემი შანსები ეროვნულ ნაკრებში მოხვედრისთვის ერთი-ორად გაიზარდა“. დორასოს, რომლის მშობლები ემიგრირებულები არიან კუნძულ მარტინიკიდან (ქვეყანა მადაგასკარის აღმოსავლეთით, ინდოეთის ოკეანეში – რედ.) ყველანაირი შესაძლებლობები გააჩნია გაიბრწყინოს ეროვნულ გუნდშიც. „ჰავრში“ ის ძირითადად საყრდენის პოზიციაზე თამაშობდა, ევალებოდა ბურთის ართმევა, შავი სამუშაოს შესრულება, დაცვასა და ნახევარდაცვას შორის ხიდის გადება. მხოლოდ ბოლო სამ სეზონში მიმდინარეობდა მისი გარდაქმნა ფლეიმეიკერად, სამ სეზონში გაიზარდა ის, როგორც არანახული პოტენციის მქონე სტრატეგი.

ვიკაშ დორასოს აქვს ერთადერთი ნაკლი – უხეირო დამაგვირგვინებელი დარტყმა. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ „ჰავრში“ გატარებულ ბოლო ოთხ სეზონში ოთხი (!) გოლი გაიტანა. „ლიონის“ თავკაცმა, წარსულში ფრანგთა სახელოვანმა ფორვარდმა, ბერნარ ლაკომბმა მას სეზონში მინიმუმ ათი გოლის გატანა მოსთხოვა, მაგრამ ვიკაშმა მხოლოდ ოთხჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი: „როცა მეუბნებიან, რომ გოლები არასაკმარისი რაოდენობით გამაქვს, მოთმინების ფიალა მევსება. ვთვლი, რომ ყოველ მოთამაშეს აქვს საკუთარი სტილი და ინდივიდუალიზმი. ჩემი ამოცანაა ბურთის დაუფლება და ზუსტი პასის შესრულება. არ მინდა თავი ავიტკიო იმით, რომ ცოტა გოლი გამაქვს. თუმცა ვხვდები, რომ ამის გამო სამართლიანად მაკრიტიკებენ – ალბათ რაც შეიძლება უფრო ხშირად უნდა გავეჭრა საგოლე პოზიციაზე, რაციონალურად გამოვიყენო ასეთი მომენტები და ალბათ უნდა გავხდე ცოტათი ეგოისტურიც, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემს პრინციპებში არ ჯდება“ – ამბობს ვიკაშ დორასო.

...თვით ჟან ტიგანა არც თუ ისე ხშირად აწბილებდა მეტოქეთა მეკარეებს, რაც ხელს არ უშლიდა მსოფლიო კლასის ნახევარმცველი ყოფილიყო. ასე რომ, ვიკაშს სულაც არ მართებს თითზე კბენანი.

ნიკ ბიგუელი,
(World Soccer)

(ბეჭდება მცირედი შემოკლებით)

ქალთა მესამე მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

ფინალური ეტაპი. აშშ-99

აშშ – დანია 3-0

1-0 ჰემი (17), 2-0 საფოუდი (72), 3-0 ლილი (89).

ბრაზილია – მექსიკა 7-1

1-0 პრეტინა (3), 1-1 დომინგესი (10), 2-1 პრეტინა (12), 3-1 სისი (29), 4-1 კატია და სილვა (35), 5-1 სისი (42), 6-1 სისი, 7-1 პრეტინა (90).

ჩინეთი – შვედეთი 2-1

0-1 ბენსტონი (2), 1-1 იანი (17), 2-1 აილინგი (69).

იაპონია – კანადა 1-1

0-1 ბურტინი (32), 1-1 ოტავე (64).

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

აშკარა უპირატესობით

როგორც 1998-99 წლების სეზონის წინ გერმანული პრესა წერდა მიუნხენის „ბაიერნში“ მოხდა ყველაზე მეტი ცვლილება. ჯერ ერთი, კლუბს სათავეში ჩაუდგა ახალი მწვრთნელი, დიდი ავტორიტეტის მქონე ოტმარ ჰიტცფელდი, მეორე — „ბაიერნში“ ჩაირიცხა ორი გამოჩენილი ოსტატი, ეროვნული ნაკრების წევრი მარიო ბასლერი და იენს იერემისი, ამასთან, სხვადასხვა რგოლი გაამაგრეს ასევე შეძენილმა თომას ლინკემ, ჰასან სალიჰამიდიჩმა და ალი დაემ. შემადგენლობის სიძლიერის მხრივ „ბაიერნს“ საერთოდ ვერავინ შეედრებოდა. მთავარი, რაც, მიმომხილველთა აზრით, ჰიტცფელდმა შეძლო, იყო ის, რომ იგი კლუბის ნამდვილ ბატონ-პატრონად იქცა. მთელ სეზონში მის საქმეებში არავინ ჩარეულა, არც კლუბის პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი (ამას ჰიტცფელდი ნამდვილად ვერ ახერხებდა დორტმუნდის „ბორუსიაში“), რომელიც ამ მხრივ საქმეს ურთულებდა ადრინდელ მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის, არც ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე და არც მენეჯერი ული ჰიონესი. თუ ადრე კლუბის ვარსკვლავები ერთმანეთს აშკარად მტრობდნენ (გავიხსენოთ ლოთარ მათეუსისა და იურგენ კლინსმანის ურთიერთობა), ახლა ჰიტცფელდმა რკინისებური დისციპლინა დაამყარა. ისეთი მძიმე ხასიათის ფეხბურთელებიც კი, როგორიც არიან შტეფან ეფენბერგი და მარიო ბასლერი, ამჯერად იძულებული გახდნენ მოეთოკათ თავი. მწვრთნელმა დისციპლინის დარღვევისათვის დაუყოვნებლივ დასჯა, მას გუნდის კაპიტანი მათეუსიც მიაყოლა (რომელმაც გაბედა და პრესაში გააკრიტიკა პარტნიორი), პრესიდან შეიტყო, რომ არდადეგებზე შვეიცარიაში მყოფმა ჯოვანი ელბერმა (რომელიც ოდესღაც „გრასჰოპერსში“ თამაშობდა) მანჭანის „ჰენებისათვის“ ფულადი ჯარიმა დაეკისრა პოლიციისაგან და ასევე... ფულადი თანხით დააჯარიმა! ერთი სიტყვით, თუ ტრაპატონი უბრალოდ, უყურიდა დამნაშავეებს, ჰიტცფელდი მათ ფინანსური სანქციების ენით „ელაპარაკებოდა“ და კიდევ ერთი: მწვრთნელმა გამოიყენა ე.წ. როტაციის პრინციპი, მოთამაშე, ერთ მატჩს რომ ჩაატარებდა, მეორეში სხვას უთმობდა ადგილს. ეს კლუბის თუნდაც ყველაზე ძლიერ მოთამაშეებსაც ეხებოდათ. ასეთი „დასვენება“ არავის სიამოვნებს, მაგრამ რა გაეწყობოდა. რა თქმა უნდა, ასეთი ტაქტიკა შეიძლება მხოლოდ იმ გუნდმა აირჩიოს, რომელსაც ძალიან ბევრი ჩინებული მოთამაშე ჰყავს. ჰიტცფელდს, ცხადია, ისინი ჰყავდა კიდეც. ჯერ კიდევ შემოდგომაზე უდო ლატეკმა, რომელმაც ადრე „ბაიერნს“ ექესჯერ მოუპოვა ჩემპიონობა, საინტერესო რამ თქვა: „ბაიერნი“ რომ ბუნდესლიგაში ორი გუნდით გამოდიოდეს, ჩემპიონიც გახდებოდა და ვიცე-ჩემპიონიც. როგორც ჩანს, ეს სინამდვილესთან ახლოს იყო.

ბაიერნი — ბაიერი. ბუნდესლიგის გათამაშების უმნიშვნელოვანესი მატჩი ბავარიელთა გამარჯვებით დასრულდა — 2-0. ერთ-ერთ ეპიზოდში მატჩის საუკეთესო მოთამაშე ბასლერი ისე გაწიწმატდა, რომ კირსტენის დასამშვიდებელი შეიქნა.

აპრილის დასაწყისისათვის „ბაიერნი“ უკვე 17 (!) ქულით უსწრებდა უახლოეს მდევრებს. რაღა რჩებოდა? დაიწყეს ლაპარაკი იმის შესახებ, ეს შემადგენლობა უფრო ძლიერი იყო, თუ 70-იანი წლების „ბაიერნისა“, რომლის რიგებში გამოდიოდნენ: მეკარე მაიერი, მცველები ბეკენბაუერი, შვარცენბეკი, ნახევარმცველები ბრაიტნერი, ჰიონესი, თავდამსხმელი მიულერი. ბოლომდე ბუნდოვანი იყო. ძალიან ძლიერად თამაშობდა „ბაიერი-04“, რომელიც სამ უკანასკნელ ჩემპიონატში ორჯერ მეორე იყო, ერთხელ — მესამე. „გუნდი, რომელიც მუდმივ სრულყოფის პროცესშია, აუცილებლად დაეუფლება ტაბტს“ — ასე ფიქრობს კრისტოფ დაუმი, სწორედ ის, ვინც შექმნა ეს ჩინებული კოლექტივი და რომელსაც მომავალში ბუნდესტრენერის პოსტს უწინასწარმეტყველებენ ერთობ არაპოპულარული ერიხ რიბეკის ნაცვლად.

თუ „ბაიერ-04“-ის წარმატებებს გულშემატკივრები მაინც შეჩვეული იყნენ, ამდენად, მოულოდნელი გახდა ბერლინის „ჰერტას“ უდიდესი წარმატება. ორი წლის წინათ იგი მეორე ლიგაში თამაშობდა, ახლა კი ჩემპიონთა ლიგაში გამოდის. ახლანდელი მწვრთნელი იურგენ რიობერი, რომელიც აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მეტად ერუდირებული, მტკიცე ნებისყოფის მწვრთნელია. მისი საფარელი აფორიზმია „რკინითა და სისხლით“ (ბისმარკის გამოთქმა). მას კლუბში ვეტერანების სიმრავლეს უკიჟინებდნენ (შეიძლება უცნაურიც იყოს — ეს ვეტერანები მეტად სწრაფად თამაშობენ, პირდაპირ დაჰქრიან მინდორზე), ნამდვილი საბრძოლო სულისკვეთება შექმნა. ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“ „ჰერტა“ უდავო წარმატებით თამაშობდა (14 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება), არც სხვის მინდვრებზე იბნეოდა. მას უამრავი მაყურებელი ჰყავდა, 32 პროცენტს ქალები შეადგენდნენ, 9-ს — ჭაბუკები. საერთოდ, უზარმაზარ ბერლინში ფეხბურთის ნამდვილი ბუმი დაიწყო. ვთქვათ ისიც, რომ „ჰერტას“ მეტად მდიდარი (და ხელგაშლილი!) სპონსორები ჰყავს. იგი, შეიძლება ითქვას, თავისი ფინანსური შესაძლებლობებით მხოლოდ „ბაიერნსა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ თუ ჩამოუვარდება. რა თქმა უნდა, მეოთხე ადგილით და ჩემპიონთა ლიგის საგზურით კმაყოფილია დორტმუნდის „ბორუსია“, რომელსაც ბუნდესლიგის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი მიხაელ სკიბე უდგას სათავეში.

შარშანდელ ჩემპიონ „კაიზერსლაუტერნს“ თითქოს უზრუნველყოფილი ჰქონდა ადგილი ჩემპიონთა ლიგაში, მაგრამ ფინიშზე ძალიან შეფერხდა. მიმომხილველთა აზრით, კლუბი, რომელსაც არა ჰყავს მაინცდამაინც მაღალი კლასის მოთამაშეები, უკმაყოფილო არ უნდა იყოს — იგი ხომ უეფას თასზე გამოვა და ფავორიტებს შორისაც იქნება. მწვრთნელი ოტო რეჰაგელი ასე არ ფიქრობს. იგი დორტმუნდის „ბორუსიას“ უმიზნებს. „ბორუსია“ შეიძლება ბობიჩითა და ვიორმსითაც გაძლიერდეს.

ცხადია, გვაინტერესებდა „ფრაიბურგის“ გამოსვლა, სადაც სამი ქართველი ლეგიონერი ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი თამაშობს. მეტისმეტად არ გაუმართლა იაშვილს, რომელსაც 11 თამაშში 6 ჩინებული გოლი ჰქონდა გატანილი, და იქნებ, ლიგის საუკეთესო სნაიპერის წოდებისთვის ბრძოლაშიც მიეღო მონაწილეობა. მძიმე ტრავმის შემდეგ ალექსანდრეს ხანგრძლივი მკურნალობა მოუხდა. გერმანული პრესა აქებდა ლევან კობიაშვილს (26 მატჩი, 3 გოლი) და ლევან ცქიტიშვილს (13 მატჩი, იგი გუნდში მეორე წრიდან ჩაირიცხა). „ფრაიბურგმა“ ბუნდესლიგაში ადგილი შეინარჩუნა, მას „კიკერსმა“ გერმანიაში ყველაზე ტექნიკური გუნდიც კი უწოდა.

ბუნდესლიგა დატოვეს „ნიურნბერგმა“ (რომელსაც ვერ უშველა „ბაიერნის“ მიერ მოურიდებლად ნაჩუქარმა სამმა ქულამ, რაც გერმანიისათვის მეტად გამომწვევი საქციელია), „ბოხუმმა“ და მენხენგლადბახის „ბორუსიამ“, რომელიც შარშანაც რაღაც სასწაულით გადარჩა.

ახლა სნაიპერების სიას გადავხედოთ: 1. მიხაელ პრეეტცი („ჰერტა“) — 23 გოლი. 2. ულფ კირსტენი („ბაიერ-04“) — 19. 3-4. ტონი ვიბოა („ჰამბურგი“), ოლივერ ნოვილი („ჰანზა“) — 14-14. 5-9. მარკუს ბაიერლე („დუისბურგი“), საშა ჩირიჩი („ნიურნბერგი“, ჯოვანე ელბერი („ბაიერნი“, კარგა ხანს სნაიპერთა სიაში პირველი იყო, მაგრამ შემდეგ დაშავდა), ანჯეი იუსკოვიაკი („ვოლფსბურგი“), კარსტენ იანკერი („ბაიერნი“) — 13-13. 20-11. ოლაფ მარშალი („კაიზერსლაუტერნი“), ბერნდ ჰობში („1860 მიუნხენი“) — 12-12. 12-15. ჯონათან აკპობორი („შტუტგარტი“), ბერნჰარდ ვინკლერი („1860-მიუნხენი“, ანტონ პოლსტერი (მენხენგლადბ. „ბორ.“) — 10.

ტრიუმფატორი ოტმარ ჰიტცფელდი შეგირდების წრეში.

ფანთა რისხვას ვეღარ გაუძლო

ფერნარდო სანსი მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში უსუსტეს წერტილად ითვლებოდა, მაგრამ ძირითადში სამკაოდ ხშირად ხვდებოდა — ის ხომ კლუბის პრეზიდენტის ლორენცო სანსის ვაჟიშვილია. მაგრამ ფერნარდომ, როგორც ჩანს, ვეღარ გაუძლო მის მიმართ დაუფარავად გამოხატულ უკმაყოფილებას და დაცინვასაც კი „რეალის“ ფანების მხრიდან, რის გამოც გადაწყვიტა დატოვოს კლუბი.

ლორენსო და ფერნანდო სანსები

საუკეთესო სნაიპერი პარმელი გახდა

ბრაზილიელი მარსიო ამოროზო, ვინც სერია A-ს ბოლო სეზონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, „უდინეზედან“ გაცილებით ამბიციურ „პარმაში“ გადავიდა. კონტრაქტი ოთხწლიანია და ეს ტრანსფერი „პარმას“ 27 მილიონი ევრო დაუჯდა. თუმცა პარმელებმა საკმაოდ ბარაქიანად შეავსეს თავიანთი ხაზინა, როცა არგენტინელი ფლეიმეიკერი ხუან ვერონი „ლაციოს“ დაუთმეს.

„ლიონის“ რეკორდი

„ლიონმა“, რომელმაც საფრანგეთის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა და ახლა მიზნად ჩემპიონთა ლიგის ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა დაუსახავს, ფრანგული კლუბებისათვის სარეკორდო თანხა გაიღო ფეხბურთელის შესაძენად — „პარსელონას“ ბრაზილიელი ფორვარდის სონი ანდერსონის გადაბირება მათ 116 მილიონი ფრანკი (20 მილიონი დოლარი) დაუჯდათ.

ევროპული ჩემპიონატები

ესპანეთი. XXXVIII, ბოლო ტური

სალამანკა — ტენერიფე 1-2, რასინგი — ვალიადოლიდი 0-2, ალავესი — სოსიედადი 2-1, ბეტისი — ატლეტიკი 1-4, სელტა — ატლეტიკო 0-1, ესპანიოლი — ოვიედო 2-1, ესტრემადურა — ვილიარეალი 2-2, რეალი — დეპორტივო 3-1, ვალენსია — მალიორკა 3-0, სარაგოსა — ბარსელონა 2-0.

ლიდერთა ჯგუფი: ბარსელონა (69), რეალი (68), მალიორკა (66), ვალენსია (65), სელტა (64), დეპორტივო (63).

ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებენ: ბარსელონა, რეალი (ჯგუფური ეტაპიდან), მალიორკა და ვალენსია (ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპიდან).

პრემიერდივიზიონის დატოვებს: ტენერიფე, სალამანკა.

ბომბარდირებმა: რაული (რეალი) — 25, რივალდო (ბარსელონა) — 24, კლაუდიო ლოპესი (ვალენსია) — 21.

რუსეთი. XI ტური

ლოკომოტივი (ნ.ნ.) — ცსკა 0-2, სატურნი — სპარტაკი 0-3, ტორპედო — როტორი 2-1, კრილია — ალანია 0-3, დინამო — ურალანი — 1-0, ლოკომოტივი (მ) — შინიკი 4-1, როსტსელმაში — ჩერნომორეცი 1-0, ვემჩუჟინა — ზენიტი — 1-3.

ლიდერობენ: სპარტაკი (33), ლოკომოტივი (მ) (26), ცსკა (22), ტორპედო (21), ალანია (20).

ბომბარდირებმა: ტიხონოვი (სპარტაკი) — 7; ვერეტენკოვი (როტორი), სემაკი (ცსკა), ტერიოხინი (დინამო), დემეტრაძე (ალანია) — 6-6.

ცნობები ესპანეთიდან...

„ვილიარეალის“ დირექტორატმა, რაც გუნდი მარცხს მარცხზე განიცდიდა, გაანთავისუფლა მთავარი მწვრთნელი ხოსე ანტონიო ირულეგი. ახლა კლუბს დროებით უხელმძღვანელებს მისი ტექნიკური დირექტორი პასკუალ დონატი.

„მალიორკა“ ახალ მწვრთნელს ეძებს ექტორ კუპერის ნაცვლად, რომელიც „ვალენსიაში“ გადადის. როგორც ფიქრობენ, ეს იქნება კიდევ ერთი არგენტინელი კარლოს გრიგუოლი. იგი ახლა ლა-პლატას „ხიმნასია ი ესგრიმას“ უდგას სათავეში.

მადრიდის „რეალმა“ კოლუმბიის „ონსე კალდასის“ ნახევარმცველ ედვინ კონგოსთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ბარსელონამ“ მოაწერა ხელი კონტრაქტს ტელეკომპანია „ვია დიგიტალთან“, 407,5 მილიონი დოლარის ოდენობით. კომპანიამ უფლება მოიპოვა 2003 წლიდან 2008 წლამდე გადასცეს „ბარსელონას“ ყველა მატჩი.

... და არგენტინიდან

არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია განიხილავს პროექტს ეროვნული ჩემპიონატის ორ წრედ ჩატარების შესახებ ტრადიციულ აპერტურისა და კლაუსურის ნაცვლად, რომლებიც 1991-92 წლებიდანაა შემოღებული.

არგენტინის პირველი დივიზიონი „პლატენსემ“ და „ურაკანმა“ დატოვეს.

„რივერ პლეიტის“ ნახევარმცველი მარსელო გალიარდო ფრანგულ „მონაკოში“ გადავიდა.

ედუარდო მანერა გაანთავისუფლეს „ველეს სარსფილდის“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან. მარიო კემპესი ნამდვილი მოხეტიალე მწვრთნელი გახდა. ადრე იგი ლიბანსა და ვენესუელაში მუშაობდა, ახლა ბოლივიის ერთ-ერთი პოპულარული კლუბის, „სტრონგესტის“ ხელმძღვანელად დაინიშნა.

მოამზადა
გივი ბამრეკელმა

ევროპის ყველა ჩემპიონატი

საფრანგეთი 1960

ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ჩატარების იდეა (იგი თასის სახელით გაჩნდა), როშელიც ცისფერი კონტინენტის ქვეყნების ეროვნული ნაკრებების მთავარ ასპარეზობადაა მიჩნეული, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ გენერალურ მდივანს ანრი დელონეს ეკუთვნის. სწორედ მან წამოაყენა 1927 წელს ფიფა-ს კონგრესზე იდეა ევროპის ნაკრები გუნდებისათვის ჩემპიონატის ჩატარების შესახებ. მაგრამ მაშინ ამ იდეის ხორცშესხმა ვერ მოხერხდა და იგი მხოლოდ 21 წლის შემდეგ დაიწყო, რაშიც, უნდა ვივარაუდოთ, რომ სათანადო როლი შეასრულა ლოკალურმა სპორტინენტო კლუბურმა და ეროვნული მასშტაბის ტურნირებმა. სახელდობრ, ჩრდილოეთის თასის გათამაშებამ 1929 წელს რომ დაიწყო დანიის, ნორვეგიის, ფინეთისა და შვეციის საფეხბურთო კავშირების თაოსნობით, ან ხმელთაშუაზღვის ქვეყნების, რომელიც „მიტელ-ევროპის თასად“ წოდებული შუაევროპის თასისა თუ ბაზრობათა, შემდგომ უეფა-ს თასად წოდებული და ა.შ.

ევროპის თასის დაბადების თარიღი 1958 წლის 6 აგვისტოა. მისი პროექტის პირველი ავტორის პატივსაცემად ანრი დელონეს თასი ეწოდა.

1958-68 წლებში ჩატარდა თასის ორი გათამაშება და ერთი ევროპის ჩემპიონატი. ჩემპიონატის სტატუსი თასის გათამაშებას 1965 წელს მიაყუთვნეს უეფას გადაწყვეტილების შედეგად და ჩემპიონატი ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. ტურნირი იწყება მსოფლიო პირველობის წელს და მთავრდება მომდევნო მსოფლიო პირველობამდე ორი წლით ადრე.

დღიდან „ლელოს“ მკითხველებს ვთავაზობთ წერილების ციკლს კონტინენტის ყველა ჩემპიონატზე.

ევროპის ჩემპიონატის (ევროპის თასის) პირველი გათამაშება

თასი სუფთა ვერცხლისაგან დაამზადა ფრანგმა ოსტატმა მ. შობიონმა. პირველ გათამაშებას ბოიკოტი გამოუცხადეს ევროპის გრანდებმა, კერძოდ: იტალიამ, ინგლისმა, შოტლანდიამ და კიდევ 7 ქვეყანამ. მაგრამ ისინი დარწმუნდნენ თავიანთ მცდარ გადწყვეტილებაში და მეორე გათამაშებაში ჩაებნენ.

პირველი თასისათვის ბრძოლის სურვილი გამოთქვა 17 ქვეყანამ: სსრკ, იუგოსლავია, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია, ესპანეთი, რუმინეთი, ავსტრია, პორტუგალია, საბერძნეთი, უნგრეთი, ნორვეგია, ბულგარეთი, დანია, პოლონეთი, გდრ, თურქეთი და ირლანდია. გადაწყდა, რომ შეჯიბრება ჩატარდებოდა ოლიმპიური სისტემით. საჭირო გახდა ერთი საკვალიფიკაციო მატჩის გამართვა ჩეხოსლოვაკიისა და ირლანდიის ნაკრებებს შორის, ორი შეხვედრის ჯამში იმარჯვებს ჩეხმა ფეხბურთელებმა (4-0 და 0-2) და გავიდნენ მერვედფინალში. იქ გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ: სსრკ – უნგრეთი, საფრანგეთი – საბერძნეთი, პორტუგალია – გდრ, იუგოსლავია – ბულგარეთი, რუმინეთი – თურქეთი, ესპანეთი – პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია – დანია, ავსტრია – ნორვეგია.

სსრკ – უნგრეთის ორივე შეხვედრაში ბუდაპეშტსა და მოსკოვში იმარჯვებს სსრკ ნაკრების ფეხბურთელებმა 3-1 და 1-0. ორივე შეხვედრა მოიგეს აგრეთვე: პორტუგალიის, ესპანეთისა და ავსტრიის ნაკრებებმა, ხოლო ორი შეხვედრის ჯამში მეოთხედფინალში გავიდნენ: საფრანგეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის ნაკრებები.

მეოთხედფინალი: სსრკ – ესპანეთი; ჩეხოსლოვაკია – რუმინეთი; საფრანგეთი ავსტრია და იუგოსლავია – პორტუგალია.

სსრკ – ესპანეთი. იმის გამო რომ ესპანეთის ნაკრები არ ჩავიდა მოსკოვში სათამაშოდ, უეფამ დამარცხება ჩაუთვალა, დაჯარიმა 2000 შვეიცარიული ფრანკით და სსრკ-ს ნაკრები უბრძოლველად გავიდა ნახევარფინალში.

ჩეხოსლოვაკია – რუმინეთი. პირველ შეხვედრას ბუქარესტში დაესწრო 80 000 მაყურებელი. ანგარიში დასაწყისშივე (8 წთ.) გახსნეს სტუმრებმა (მასოპუსტმა). პირველი ნახევრის ბოლოს ჩეხმა ბუბნიკმა გაზარდა ანგარიში 2-0, რომელიც არ შეცვლილა. განმეორებით მატჩში ბრატისლავაში, სტუმრებს გამარჯვების არავითარი შანსი არ ჰქონდათ. და შეხვედრა დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების გამარჯვებით 3:0. ანგარიში პირველივე წუთზე გახსნა ბუბერნიკმა, მანვე მე-16 წუთზე გაზარდა იგი, ხოლო შეხვედრას საბოლოო წერტილი დაუსვა ბუბნიკმა.

იუგოსლავია – პორტუგალია. პირველი შეხვედრა, რომელიც ლისაბონში ჩატარდა და მას 60000 მაყურებელი ესწრებოდა, ანგარიში შეხვედრის მე-20 წუთზე გაანეს პორტუგალიელებმა (სანტანამ). ამის შემდეგ ინიციატივას დაეუფლნენ იუგოსლავიელები, მათ უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ბურთი ხან კარს ცდებოდა, ხან კი ძელს ხვდებოდა. შეხვედრის 69-ე წუთზე პორტუგალიელთა კონტრშეტევა და მატეუშ ზრდის ანგარიშს 2-0. შეხვედრის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე იუგოსლავიელმა კოსტიჩმა შეძლო ანგარიშის სხვაობის შემცირება 2-1. განმეორებით მატჩი ბელგრადში, აშკარა იყო მასპინძელთა უპირატესობა, რაც ანგარიშშიც გამოიხატა 5-1. ორი შეხვედრის ჯამში ნახევარფინალში გავიდნენ იუგოსლავიელი ფეხბურთელები.

საფრანგეთი – ავსტრია. ორივე მატჩში იმარჯვებს ფრანგმა ფეხბურთელებმა 5-2 და 4-2. და ისინიც გავიდნენ ნახევარფინალში.

ნახევარფინალის ჯგუფურ ტურნირს – სსრკ – ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია – საფრანგეთი მასპინძლობდა საფრანგეთი.

პირველი შეხვედრა ჩატარდა მარსელში სსრკ – ჩეხოსლოვაკიის ნაკრებებს შორის.

სსრკ ნაკრები: იაშინი, ჩოხელი, მასლეიონკინი, კრუტიკოვი, ვოინოვი, ნეტო, მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი, მესხი.

ჩეხოსლოვაკია: შროიფი, შაფრანეკი, ჰოპლუხარი, ნოვაკი, ბუბერნიკი, მასოპუსტი, ვოიტა, მარაგჩიკი, კვაშნიაკი, ბუბნიკი, დოლინსკი.

შეხვედრა დაიწყო ორმხრივი შეტევებით, ორივე კართან, სახიფათო მომენტები ელვის სისწრაფით იცვლებოდა, მაგრამ პირველი ნახევრის შუიდან სსრკ-ს ფეხბურთელების შეტევები უფრო მძაფრი გახდა, ამოქმედდნენ ფლანგები (მესხი და მეტრეველი) და შეხვედრის 35-ე წუთზე ივანოვის დარტყმის შემდეგ ბურთი ხვდება მეტოქის კარის ბადეში 1-0. შესვენების შემდეგ ჩეხი ფეხბურთელები გადავიდნენ გადამწყვეტ შტურმზე, ცენტრალური მცველებიც კი მონაწილეობდნენ შეტევაში. სსრკ-ს ნაკრები თამაშობდა კონტრშეტევებზე და 56-ე წუთზე ივანოვი ატყუებს მეკარეს და ზრდის ანგარიშს. ხოლო შეხვედრის 65-ე წუთზე ანგარიში ხდება 3-0. გოლი ვ. პონედელნიკის ანგარიშზეა. შეხვედრის დასასრულს იტალიელი მსაჯი იონი სსრკ ნაკრების კარში ნიშნავს 11-მეტრიანს, მაგრამ ვოიტას დარტყმა სცდება კარს. საბოლოოდ 3-0 და სსრკ-ს ნაკრები გადის ფინალში.

მეორე ნახევარფინალი, რომელიც ჩატარდა პარიზში ერთმანეთს იუგოსლავიისა და საფრანგეთის ნაკრებები შეხვდნენ.

იუგოსლავია: შოშკიჩი, დურკოვიჩი, ზებეცი, იუსუფი, ზანტიჩი, პერუშიჩი, კნეზი, ერკოვიჩი, გალიჩი, შეკულარეცი, კოსტიჩი.

საფრანგეთი: ლამია, ვენდლინგი, ერბენი, როდზიკი, მარსელი, ფერე, ეტი, მიულერი, ვისნესკი, სტივნარი, ვენსანი.

როგორც შემადგენლობიდან ჩანს, ამ შეხვედრაში ფრანგებს ტრავმის გამო აკლდნენ ძირითადი ფეხბურთელები: ფონტენი, კოპა, პიანტონი, კელბელი, ჯონკე. მატჩის მე-11 წუთზე იუგოსლავიელმა გალიჩმა დაახლოებით 25 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში. ეს ბურთი ფრანგებმა საკმაოდ სწრაფად გაქვითეს ვენსანის წყალობით. პირველი ნახევრის ბოლოს ეტიმ წინ გაიყვანა ფრანგები, ხოლო 52-ე წუთზე ვისნესკი ანგარიშს 3-1 ზრდის. ამის შემდეგ მატჩში მოხდა გარდატეხა, იუგოსლავიელებმა, რომელთა სულის ჩამდგმელი იყო შეკულარეცი, შეამცირეს ანგარიშში სხვაობა (ზანეტიჩი). მაგრამ ამის შემდეგ ფრანგებმა გაიტანეს „სკანდალური“ მე-4 გოლი. როცა ეტი გადიოდა მეკარის პირისპირ, ერთ-ერთი ფრანგი ფეხბურთელი იყო თამაშგარე მდგომარეობაში, გვერდითმა მსაჯმა ალმართა ალამი, მაგრამ მთავარმა მსაჯმა თამაშგარე არ დააფიქსირა და გოლი ჩათვალა. ამის შემდეგ იუგოსლავიელმა ფეხბურთელებმა ოთხ წუთში გაიტანეს სამი ბურთი (ერთი გაიტანა კნეზმა, ორი კი ერკოვიჩმა) და გავიდა ფინალში. ეს იყო ჩემპიონატის საუკეთესო შეხვედრა.

ფინალამდე ჩატარდა მატჩი მე-3 ადგილისთვის, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის ნაკრებები. გაიმარჯვეს ჩეხმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2-0. (ბურთები გაიტანეს: ბუბერნიკმა (58 წთ) და პავლოვიჩმა (87 წთ). და დაეუფლნენ ბრინჯაოს მედლებს.

პირველი ევრო თასის ***ფინალი*** გაიმართა 12 ივლისს პარიზში „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე 20 000 მაყურებლის დასწრებით სსრკ და იუგოსლავიელთა ნაკრებებს შორის.

სსრკ: ლ. იაშინი, გ. ჩოხელი, ა. მასლეიონკინი, ა. კრუტიკოვი, ვ. ივანოვი, ი. ნეტო, ი. ვოინოვი, ს. მეტრეველი, ვ. პონედელნიკი, ვ. ბუბუკინი, მ. მესხი.

პირველი ნახევრის მე-40 წუთზე იუგოსლავიელმა ფეხბურთელმა გალიჩმა გახსნა ანგარიში 1-0. მეორე ტაიმის 50-ე წუთზე სლავა მეტრეველმა აღადგინა ანგარიში წონასწორობა. შეხვედრის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 1-1. დამატებით დროში 113-ე წუთზე მიხეილ მესხის ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს ვ. პონედელნიკმა თავით შეუცვალა მიმართულება და გაიტანა გამარჯვების გოლი და სსრკ-ს ნაკრები გახდა ევროპის პირველი ჩემპიონი. სსრკ-ს ნაკრების გაჩემპიონებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა ფეხბურთელებმა: გ. ჩოხელმა, მ. მესხმა და ს. მეტრეველმა.

ტექნიკური შედეგები

საკვალიფიკაციო ეტაპი:
ჩეხოსლოვაკია – ირლანდია 4-0 და 0-2

მერვედფინალი
საფრანგეთი – საბერძნეთი 7-1; 1-1
სარკ – უნგრეთი 3-1; 1-0
პორტუგალია – გდრ 2-0; 3-2
იუგოსლავია – ბულგარეთი 2-1; 1-1
რუმინეთი – თურქეთი 3-0; 0-2
ესპანეთი – პოლონეთი 4-2; 3-0
ჩეხოსლოვაკია – დანია 2-2; 5-1
ავსტრია – ნორვეგია 1-0; 5-2

მეოთხედფინალი
იუგოსლავია – პორტუგალია 1-2; 5-1
ჩეხოსლოვაკია – რუმინეთი 2-0; 3-0
საფრანგეთი – ავსტრია 5-2; 4-2
სსრკ – ესპანეთი +=–

ნახევარფინალი
იუგოსლავია – საფრანგეთი 5-4
სსრკ – ჩეხოსლოვაკია 3-0

მე-3 ადგილისთვის
ჩეხოსლოვაკია – საფრანგეთი 2-0

ფინალი
სსრკ – იუგოსლავია 2-1 (დ.დ).
სსრკ: იაშინი, ჩოხელი, მასლეიონკინი, კრუტიკოვი, ვოინოვი, ნეტო, მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი, მესხი.
იუგოსლავია: ვიდინიჩი, დურკოვიჩი, იუსეჯი, ჯანეტიჩი, მილადინოვიჩი, პერუშიჩი, შეკულარეცი, ერკოვიჩი, გალიჩი, მატუში, კოსტიჩი.
გოლები: გალიჩი 40 (0-1), მეტრეველი 50 (1-1), პონედელნიკი 113 (2-1).
მსაჯი: ა. ელისი (ინგლისი).

პომპარდირები: ფონტენი, ვენსანი (ორივე – საფრანგეთი) და ბუბერნიკი (ჩეხოსლოვაკია) – 5-5 ბურთი.

ევროპის სიმბოლური ნაკრები: იაშინი (სსრკ), კრუტიკოვი (სსრკ), ჰოპლუხარი (ჩეხოსლოვაკია), მასლეიონკინი (სსრკ), ნეტო (სსრკ), შეკულარეცი (იუგოსლავია), მეტრეველი (სსრკ), ივანოვი (სსრკ), პონედელნიკი (სსრკ), გალიჩი (იუგოსლავია), მესხი (სსრკ).

ვ. ჯალაღონია,
აფხაზეთი, ს. ფშაფი.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ცნობები იტალიიდან

● მომდევნო სეზონიდან „ინტერის“ არგენტინელი ნახევარმცველი დიეგო სიმეონე რომის „ლაციოში“ ითამაშებს. იქ გადავა მისი თანამემამულე „ვალენსიიდან“, ცნობილი თავდამსხმელი კლაუდიო ლოპესი.

● მას შემდეგ, რაც „რომას“ ფაბიო კაპელო ჩაუდგა სათავეში, დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გუნდის საუკეთესო თავდამსხმელი მარკო დელვეკიო, რომელმაც იტალიის ჩემპიონატში 18 გოლი გაიტანა, ლონდონის „ჩელსი-ში“ გადავიდოდა. ასეთი წინადადება 26 წლის მარკომ მართლაც მიიღო, მაგრამ უარი შეუთვალა და „რომასთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა 2002-2003 წლების სეზონის ბოლომდე. როგორც კაპელო თვლის, თავდამსხმელების ახალი ტანდემი დელვეკიო – მონტელა (ცნობილი ფორვარდი გენუის „სამპდორიიდან“ გადმოდის) მრისხანე ძალა იქნება. ახლა დელვეკიოს წლიური შემოსავალი ორჯერ გაიზრდება – აქამდე იგი 723 ათას დოლარს იღებდა, ახლა 1 400 000-ს მიიღებს.

● არგენტინელმა ვარსკვლავმა არიელ ორტეგამ, რომელიც აქამდე გენუის „სამპდორიაში“ თამაშობდა, მიწვევა მიიღო „პარმასაგან“.

● „ლაციო“ მზად არის 40 მილიონი დოლარი გადაუხადოს ლონდონის „არსენალისა“ და საფრანგეთის ნაკრების ცენტრფორვარდ ნიკოლა ანელკას.

● იტალიის ნაკრების ყოფილი მეკარე ჯანლუკა პალიუკა, რომელიც მილანის „ინტერში“ თამაშობდა, ახალი სეზონიდან, ეტყობა, „ბოლონიაში“ გამოვა.

● გრძელდება მწვრთნელების გადასვლა-გადმოსვლაც. ცნობილი სპეციალისტი ჯიჯი სიმონი არც ისე დიდი ხნის წინათ „ინტერს“ ედგა სათავეში, ახლა „პიაჩენცას“ მთავარი მწვრთნელი გახდა. ეს კლუბი ცნობილია იმით, რომ იქ არც ერთი უცხოელი არ თამაშობს. სიმონიმ ჯუზეპე მატარაცი შეცვალა, რომლის ხელმძღვანელობითაც „პიაჩენცამ“ მხოლოდ ერთი სეზონი ითამაშა და „სერია A“-ში შეინარჩუნა ადგილი. როგორც თვით სიმონიმ განაცხადა, მას შემდეგ, რაც „ინტერი“ დატოვა 10 (!) კლუბისგან მიიღო მიწვევა, მათ შორის ლისაბონის „ბენფიკასა“ და სევილიის „ბეტისისაგან“. სიმონიმ სამწვრთნელო მოღვაწეობა 1975 წელს „ჯენოაში“ დაიწყო და მას შემდეგ კიდევ 9 კლუბში მუშაობდა. უკანასკნელი მატჩი „ინტერში“ „სალერნიტანას“ წინააღმდეგ მე-900, საიუბილეო აღმოჩნდა მწვრთნელის კარიერაში.

● „პერუჯამ“ მიიწვია ცნობილი სპეციალისტი კარლო მაკონე, რომელიც ბოლო მომენტამდე „ბოლონიას“ ედგა სათავეში. გუნდმა მისი ხელმძღვანელობით თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია, ორი გადამწყვეტი მატჩი მოუგო „ინტერს“ და უეფას თასზე თამაშის უფლებაც მოიპოვა. „პერუჯაში“ მაკონე შეცვლის ცნობილ იუგოსლავიელ სპეციალისტ ვუიადინ ბოშკოვს, რომელმაც იქ მხოლოდ სამი თვე იმუშავა.

● ჩეხმა ზდენეკ ზემანმა „რომაში“ სულ ორი სეზონი იმუშავა, მაშინ ეს გუნდი მეოთხე ადგილზე გავიდა, წელულს — მეხუთეზე, მაგრამ ეს წარუმატებლად ჩაუთვალეს და, ახლა, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ფაბიო კაპელო მიიწვიეს. 60-იან წლებში კაპელო თვითონ თამაშობდა „რომაში“.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელების „რეიტინგ-ლისტი“ დღეისათვის ასე გამოიყურება:

ქალები: 1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — 5755. 2. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 4968. 3. შტეფი გრაფი (გერმანია) — 4144. 4. მონიკა სელეში (აშშ) — 3608. 5. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) — 3456. 6. ვენუს უილიამსი (აშშ) — 3451. 7. არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) — 2528. 8. მერი პირსი (საფრანგეთი) — 2525. 9. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) — 2199. 10. სერენა უილიამსი (აშშ) — 1989. 11. ჟიული ალარი (საფრანგეთი) — 1847. 12. ამანდა კეცერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 1834. 13. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) — 1771. 14. ბარბარა შეტი (ავსტრია) — 1746. 15. ამალია მორესმო (საფრანგეთი) — 1708. 16. დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) — 1697. 17. ნატალია ზვერევა (ბელორუსია) — 1683. 18. ანა კურნიკოვა (რუსეთი) — 1673. 19. პატი შნაიდერი (შვეიცარია) — 1597. 20. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — 1567.

ვაჟები: 1. პიტ სამპრასი (აშშ) — 3548. 2. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — 3313. 3. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — 3211. 4. ანდრე აგასი (აშშ) — 2993. 5. რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — 2829. 6. ტიმ ჰენმანი (ინგლისი) — 2790. 7. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — 2655. 8. ალექს კორეტჯა (ესპანეთი) — 2408. 9. მარჩელო რიოსი (ჩილე) — 2370. 10. კარლოს მოია (ესპანეთი) — 2313. 11. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — 2296. 12. ტოდ მარტინი (აშშ) — 2216. 13. გრეგ რუსედსკი (ინგლისი) — 2215. 14. კაროლ კუჩერა (სლოვაკია) — 2201. 15. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — 1836. 16. ფელიქს მანტილა (ესპანეთი) — 1782. 17. ტომი ჰაასი (გერმანია) — 1725. 18. ნიკოლას კიფერი (გერმანია) — 1722. 19. დომინიკ ჰრბატი (სლოვაკია) — 1651. 20. თომას ენკვისტი (შვეცია) — 1592 პუნქტი.


პიტ სამპრასი


მარტინა ჰინგისი

„ჯოკერ-ლოტო“ – მილიონთა თამაში!

20 ივნისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის ოცდამეოთხე გათამაშებით.

«ლოტო 6-42»-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
1. 2. 17. 30. 35. 37.
3 ციფრი – 2.10 ლარი.
4 ციფრი – 26.40 ლარი.
5 ციფრი – 848.12 ლარი – გადავიდა მომდევნო ტირაჟში.
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

„ჯეკ-პოტი“ 35 064 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.

„სუპერ-7“-ის მომგებიანი ციფრებია: **8. 5. 6. 0. 3. 6. 7.**
შემდეგი ტირაჟი შედგება 27 ივნისს.

ტირაჟის დროს გათამაშდა მომენტალური ლატარიების „გოლი-98“-ის და „ოლიმპის“ მოუგებელ ბილეთებზე ფულადი და ნივთობრივი მოგებები, რომლებიც წილად ხვდათ: ლატარია „ოლიმპ“-ში – გურამ შალუტაშვილს (კასპი) – ბილეთის №191566, ლია წიკლაურს (ბორჯომი) – ბილეთის № 099685, ლატარია „გოლი-98“-ში გელა გახუაშვილს (თბილისი) – ბილეთის № 03986-072, გიორგი გზირიშვილს (კასპი) – ბილეთის № 03983-031. ამასთან ერთად გამარჯვებულებს გადაეცემათ აღნიშნული ლატარიის ბილეთების კომპლექტები. პრიზები გაიცემა ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის ოფისში. მის: ჟ. შარტავას №40. „გოლი-98“-ის და ოლიმპ“-ის მოუგებელ ბილეთებზე პრიზების გათამაშება გაიმართება ყოველ კვირადღეს!
ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

ტიგრან პეტროსიანის მემორიალზე

მოსკოვში მიმდინარეობს მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონ ტიგრან პეტროსიანის მემორიალი, რომელიც მისი დაბადებიდან 70 წლისთავს მიეძღვნა. ტურნირმა მეტად საინტერესო შემადგენლობას მოუყარა თავი; თამაშობენ ძირითადად ისინი, ვისაც პეტროსიანთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა და მას ტურნირებსა თუ მატჩებში არაერთგზის შეხვედრია: მსოფლიოს ექსჩემპიონები ვასილ სმისლოვი (რუსეთი) და ბორის სპასკი (საფრანგეთი), პრეტენდენტთა ასპარეზობის მრავალგზის მონაწილეები ბერტ ლარსენი (დანია), ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), მარკ ტაიმანოვი (რუსეთი), ბორა იკოვი (იუგოსალვია), ვლასტიმილ ჰორტი (გერმანია), ცნობილი დიდოსტატები იური ბალაშოვი და ვიტალი ცეშკოვსკი (ორივე — რუსეთი).

ტურნირის მთავარი მსაჯია 88 წლის დიდოსტატი ანდრე ლილიენტალი (უნგრეთი), რომელიც ადრე ტიგრან პეტროსიანს წვრთნიდა და ერთადერთია თანამედროვე მოჭადრაკეებს შორის, რომელიც ემანუელ ლასკერსა და ხოსე რაულ კაპაბლანკას შეხვედრია.

ფიდემ ეროვნულ საჭადრაკო ფედერაციებს დაურიგა ვაჟთა შორის მსოფლიოს 1999 წლის ჩემპიონატის ჩატარების დებულება. დღეს ჩვენ საშუალება გვაქვს იგი მკითხველებს გავაცნოთ.

მსოფლიოს საჭადრაკო ჩემპიონატი ვაჟთა შორის ტარდება 1999 წლის 30 ივლისიდან 29 აგვისტომდე, ლას-ვეგასში (აშშ).

გათვალისწინებულია შესარჩევი მატჩების 6 რაუნდი. 1-5 რაუნდები ორ-ორი პარტიისაგან შედგება, მეექვსე – ოთხისაგან. შემდეგ ამას მოსდევს ფინალური მატჩი 6 პარტიისაგან.

პირველ რაუნდში ითამაშებს 72 მოჭადრაკე, მეორეში – 64, მესამეში – 32, მეოთხეში – 16, მეხუთეში – 8, მეექვსეში – 4, მეშვიდეში (ფინალში) – ორი.

მონაწილეთა სრული სია შემდეგი 100 მოჭადრაკისაგან უნდა შედგებოდეს:

A. მსოფლიოს 1997-98 წლების ჩემპიონატის გამარჯვებული და ნახევარფინალის მონაწილეები: 1. ა. კარპოვი (რუსეთი), 2. ვ. ანანდი (ინდოეთი), 3. ნ. შორტი, 4. მ. ადამსი (ორივე – ინგლისი) და 5. ბ. გელფანდი (ისრაელი).

B. ჭაბუკები 2600 და უფრო მაღალი კოეფიციენტით: 6. პ. ლეკო (უნგრეთი), 7. ს. მოვსესიანი (ჩეხეთი), 8. კ. ასრიანი (სომხეთი).

C. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკებს შორის – 9. დ.სადვაკასოვი (ყაზახეთი).

D. მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის – 10. ჟ. პოლგარი (უნგრეთი).

E. ფიდეს პრეზიდენტის სამი ნომინანტი – 11. მ. ჩიბურდანიძე (საქართველო). 12.13 – მოგვიანებით იქნებიან დასახელებული.

F. – ორგანიზატორების ერთი ნომინანტი – 14. ს. კუდრინი (აშშ).

G. – ყველა კონტინენტური პრეზიდენტისაგან წარდგენილი თითო ნომინანტი – 15. ჰ. ჰამდუჩი (მაროკო, აფრიკა), 16. ა. ივანოვი (აშშ, ამერიკა). 17. ალ – მოდიახი (კატარი, აზია). 18. ლ. არონიანი (სომხეთი, ევროპა).

H. – ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული 62 მოჭადრაკე – პირველი ზონა: 19. ე. მაილსი (ინგლისი). 20. კ. ბაური (საფრანგეთი), 21. ფ. ნაიბური (ჰოლანდია). 22. ი. მაგემი (ესპანეთი). 2. ჯ. სპილმენი (ინგლისი). 24. დ. რეინდერმანი (ჰოლანდია). პირველი ზონის მეორე ქვეჯგუფი. 25. ი. სოკოლოვი (ბოსნია და ჰერცეგოვინა) 26. რ. ზელჩიჩი. 27. გ. დიზდარი (ორივე – ხორვატია). 28. ვ. კორჩნოი (შვეიცარია). 29. ლ. ფსახისი (ისრაელი). 30. მ. ვალსი (გერმანია). 31. ი. სმირინი (ისრაელი). პირველი ზონის მესამე ქვეჯგუფი. 32. რ. აკესონი (შვეცია). 39. ჰ. სტეფანსონი (ისლანდია). 34. ფ. ნიელსენი (დანია). პირველი ზონის მეოთხე ქვეჯგუფი: 35. ლ. ნისიპუანუ (რუმინეთი). 36. ვ. ბაბულა (ჩეხეთი). 37. ზ. ალმაში (უნგრეთი). 38. ბ. მაჩეია (პოლონეთი). პირველი ზონის მეხუთე ქვეჯგუფი: 39. ვ. კოტრონიასი (საბერძნეთი). 40. ა. ცელა (ალბანეთი). 41. ს. ჯურიჩი. 42. დ. ველიმიროვიჩი (ორივე – იუგოსლავია). პირველი ზონის მეექვსე ქვეჯგუფი: 43. ა. მოროზოვეჩი. 44. კ. საკაევი. 45. ს. შიპოვი. 46. ს. დოლმატოვი. 47. მ. ქობალია (ყველა – რუსეთი). პირველი ზონის მეშვიდე ქვეჯგუფი: 48. ი. ელვესტი (ესტონეთი). 49. დ. ფრიდმანი (ლატვია), 50. ე. როზენტალისი (ლიტვა). პირველი ზონის მერვე ქვეჯგუფი: 51. ა. ფედოროვი. 52. ა. ალექსანდროვი (ორივე – ბელორუსია), 53. რ. პონომარიოვი. 54. ა. ზუბარიოვი (ორივე – უკრაინა). მეორე ზონის პირველი ქვეჯგუფი: 55. ჯ. ბენჯამინი. 56. ნ. დე ფირმიანი. 57. დ. გურევიჩი. 58. ტ. შაკდი. 59. ბ. გულკო (ყველა – აშშ). მეორე ზონის მეორე ქვეჯგუფი. 60. კ. სპრაგეტი (კანადა). მეორე ზონის მესამე ქვეჯგუფი: 61. ი. ბეკერა (კუბა). 62. ა. ზაპატა (კოლუმბია). მეორე ზონის მეოთხე ქვეჯგუფი: 63. კ. მილოში. 64. რ. ლეიტაო (ორივე – ბრაზილია). მეორე ზონის მეხუთე ქვეჯგუფი: 65. ა. როდრიგესი (ურუგვაი). 66. ა. ჰოფმანი. 67. პ. რიკარდი (ორივე – არგენტინა). მესამე ზონის პირველი ქვეჯგუფი: 68. ი. ჰაკი (სირია). 69. ა. ბაგერი (ირანი). 70 დ. ბარუა (ინდოეთი). მესამე ზონის მეორე ქვეჯგუფი: 71. ი. როგერიო ანტონიო (ფილიპინები). 72. უ. ადიანტო (ინდონეზია). 73. ვ. ფელდმანი (ავსტრალია). მესამე ზონის მესამე ქვეჯგუფი: 74. ლიან ჩონი. 75. პენ ძიაომინი (ორივე – ჩინეთი). მესამე ზონის მეოთხე ქვეჯგუფი. 76. რ. კასიმჟანოვი (უზბეკეთი). 77. პ.კოცური (ყაზახეთი). მეოთხე ზონის პირველი ქვეჯგუფი: 78. ს. ბუაზისი (ტუნისი). მეოთხე ზონის მეორე ქვეჯგუფი. 79. ე. მოჰამედი (ეგვიპტე). 80. მეოთხე ზონის მესამე ქვეჯგუფი. და. ვ. კაბუზუ (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა).

ელოს სისტემით უმაღლესი კოეფიციენტების მფლობელთა ჯგუფი: 81. გ. კასპაროვი (რუსეთი). 82. ვ. კრამნიკი (რუსეთი). 83. ვ. ივანჩუკი (უკრაინა). 84. ა. შიროვი (ესპანეთი). 85. გ. კამსკი (აშშ). 86. პ. სვიდლერი (რუსეთი). 87. ვ. ტოპალოვი (ბულგარეთი). 88. ე. ბარეევი (რუსეთი). 89. ს. რუბლევსკი (რუსეთი). 90. ვ. სალოვი (რუსეთი). 91. კ. გეორგიევი (ბულგარეთი). 92. ი. პოლგარი (უნგრეთი). 93. ა. ბელიავსკი (სლოვენია). 94. მ. კრასენკოვი (პოლონეთი). 95. ვ. აკოფიანი (სომხეთი), 96. მ. სადლერი (ინგლისი). 97. ზ. აზმაიფარაშვილი (საქართველო). 98. ვ. ზვიაგინცევი (რუსეთი), 99. ა. ხალიფმანი (რუსეთი). 100. ს. ტივიაკოვი (რუსეთი).

სია, გასაგებია, რამდენადმე შეიცვლება ზოგი დიდოსტატის ამ ჩემპიონატისადმი აშკარად უარყოფითი დამოკიდებულების გამო. განთავისუფლებული ადგილები მაღალი კოეფიციენტის მქონე დიდოსტატებს დაეთმობა სპეციალურად შედგენილი საკანდიდატო სიის მიხედვით. აქ პირველი იყო, სამწუხაროდ, ამას წინათ გარდაცვლილი ცხობილი ესტონელი დიდოსტატი ოლი.

საპრიზო ფონდი 3 მილიონი დოლარია. ის, ვინც პირველ რაუნდში დამარცხდება და გამოეთიშება შეჯიბრებას, 6000 დოლარს მიიღებს, მეორე რაუნდში დამარცხებული – 10.800 დოლარს, მესამე რაუნდში დამარცხებული – 21.600, მეოთხე რაუნდში დამარცხებული – 43 200, მეხუთე რაუნდში – 86 400, მეექვსე რაუნდში – 172 800, მეშვიდე რაუნდში – 396 000, მსოფლიო ჩემპიონი კი მიიღებს 660 000 დოლარს.

30 ივლისიდან, ლას-ვეგასში

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



22 ივნისი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ახალგაზრდა ლიგის არქივი“ 1998-1999 წ.წ. (0.00). ***HTB плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (12.15, 15.45, 15.55). ***ESPN.*** ფეხბურთი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: ლატვია – საბერძნეთი (3.00), კალათბურთი. ნბა (5.00, 17.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები (11.30, 13.00, 2.00), ფეხბურთი. ევროგოლები (14.30, 20.30), სპიდვეი. მსოფლიო ჩემპიონატი (3.00).

23 ივნისი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ვაჟები (23.20). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიო სტადიონებზე (19.30). ***ევროკა.*** „სტუმარი“ (21.00). ***HTB плюс футбол.*** ევრო-2000. ანალიტიკური მიმოხილვა (13.15), ბრაზილიის ჩემპიონატი (13.45), „ჩემპიონთა ლიგის არქივი“ 1998-99 წ.წ. (0.10), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა“ (18.30), „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები“, დელ პიერო (22.05). ***HTB плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (11.40, 15.40). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (7.00, 11.30, 14.00). ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა: „ტოტენჰემ ჰოტსპური“ – „მანჩესტერ იუნაიტედი“ (18.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები (13.00, 20.30). მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00, 15.30), აერობიკა. მსოფლიო ჩემპიონატი (1.00).

24 ივნისი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (23.30), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“. ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30). მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***ევროკა.*** ფეხბურთის ლეგენდები (21.30). ***HTB плюс футбол.*** მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები (13.15, 15.05, 23.40, 1.25). ლათინური ამერიკის ქვეყნების მატჩების მიმოხილვა (16.50), ევროპის საფეხბურთო კვირეული (21.05). ***HTB плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (11.55, 15.40), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა. (5.00, 18.30). ფეხბურთი: ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (17.30), ბრაზილიიდან – „ფლამენგო“ – „ვასკო და გამა“ (23.00). ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (15.30, 16.00, 20.00 21.00, 2.00). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები (23.00).

ქ. ფოთის სპორტკომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტის ვეტერანი მუშაკი, სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ფოთის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე

რეზო სარუმოვი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 24 ივნისს, 16 საათზე ფოთში (ვაჟა-ფშაველას, 7).

საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



a b c d e f g h

შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ერ6! – 2. ეe6+ მფf5 3. მh6X.
1. ...ლ:d5 2. მf3+ მფe4 3. ლe7X.
1. ...ე:d5 2. მd3+ მფe4 3. ე:f4X.
1. ...ლh3 2. d6+ ედ5 3. ლ:d5X.

ჩაწერეთ ოლიმპიური ჩვენებით სპორტსმენებით და ისპანიელების მასპინძელი ქალაქები



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:



მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ელჩოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წიწორია, ნანი რამიშვილი. ინტერნეტ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე